

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №59

2013 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

### საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

#### მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მიგრაციის თანდართული სტრატეგია.

#### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

### საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2013-2015 წწ.

#### 1. შესავალი

მიგრაცია გლობალური ფენომენია და თანამედროვეობის გამოწვევას წარმოადგენს. იგი გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მიგრაციული პროცესების მართვა არის ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

საქართველო მიგრაციული პროცესების განვითარების კუთხით წარმოადგენს, როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულებისა და სატრანზიტო მნიშვნელობის ქვეყანას. ბოლო წლებში, საფუძველი ჩაეყარა ისეთ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ რეფორმებს (ეკონომიკა, განათლება, პოლიცია, ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან, ზრუნვა ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე და სხვ.), რამაც შედარებით სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური პირობები შექმნა ქვეყანაში. შესაბამისად, 2006-2008 წლების უარყოფითი მაჩვენებლის შემდეგ, 2009-2011 წლებში წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი გახდა დადებითი. გარდა ამისა, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა იმიგრანტთა უფლებების დაცვის კუთხით, კერძოდ, შრომითი მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას, გამოყენებულია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფორმატი.

ზემოაღნიშნულის გარდა, სათანადოდ შექმნილი ინსტიტუტებისა და მექანიზმების მეშვეობით, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა არალეგალური მიგრაციის პრევენციის საქმეში. თანამედროვე ინფრასტრუქტურის დანერგვის შედეგად მოხდა საზღვრის ეფექტიანი მართვის გაუმჯობესება, ასევე შემოღებული იქნა დაცული პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტები (მეორე თაობის ბიომეტრული პასპორტი და დაცული ელექტრონული პირადობის მოწმობა), შემუშავდა და დაინერგა ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა. საქართველო შევიდა ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე წარმატებული 32 ქვეყნის რიცხვში<sup>1</sup>. ამასთან, ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, ვითარდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოების ინფორმირებას იმ საფრთხეებისა და რისკების შესახებ, რაც თან ახლავს არალეგალურ მიგრაციას.

მიგრაციის სფეროში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფო ლიბერალური სავიზო პოლიტიკიდან ეტაპობრივად გადადის დაბალანსებული სავიზო პოლიტიკის დანერგვაზე. ამგვარი აუცილებლობა განაპირობა უკიდურესად ღია სავიზო პოლიტიკის შედეგად, ქვეყანაში წარმოქმნილმა მოუწესრიგებელმა იმიგრაციულმა პროცესებმა. ამასთან, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიგრაციული პროცესების სწორი და გააზრებული მართვა, რომელიც სათანადო სავიზო პროცედურების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტია ტურიზმის განვითარება და ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და შენარჩუნება. პარალელურად, თანამედროვე გამოწვევების ფონზე და ევროკავშირთან მიმდინარე სავიზო დიალოგის ფარგლებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიგრაციული პროცესების ეფექტიან მართვას.



სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განვითარება გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის პრევენციას. მსგავსი მიმართულებები, როგორებიცაა რეგიონული განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა უკვე ასახულია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრატეგიებსა და კონკრეტულ უწყებათა სამოქმედო გეგმებში.

საქართველოს მთავრობის მიზანია, წარმართოს მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა პროცესი საქართველოს მოქალაქეების ინტერესის შესაბამისად და საერთაშორისო საზოგადოების ინტერესების დაცვით. სტრატეგიის ამოცანები განხორციელდება საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ასევე, გათვალისწინებული იქნება არსებული გენდერული პოლიტიკა და უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური სფეროს წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. ღონისძიებები მიმართული იქნება, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან შემდგომი დაახლოებისაკენ. განხორციელდება ღონისძიებები მობილურობის წახალისებისათვის, ცირკულარული მიგრაციისა, თუ სხვა მექანიზმების მეშვეობით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მიგრაციის დადებითი ეფექტის გამოყენებას ქვეყნის განვითარებისთვის. მოხდება საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. სტრატეგიის ფარგლებში, გაგრძელდება ეფექტიანი ღონისძიებები არალეგალურ მიგრაციასთან და ტრეფიკინგთან ბრძოლის თვალსაზრისით. დამატებითი ღონისძიებები დაიგეგმება თავშესაფრისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სისტემის განვითარების, დახვეწისა და ლტოლვილთა ინტეგრაციისათვის.

მიგრაციის პროცესების მართვის ეფექტიანობისთვის, აუცილებელია ინსტიტუციური მექანიზმის განვითარება, რაც გულისხმობს შესაბამისი პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებების შიგნით ქმედუნარიანი ინსტიტუტების შექმნას უფლებამოსილებებისა და მიხედვით, რომლებიც, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან კოორდინაციით, პასუხისმგებელი იქნებიან საქართველოში მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე, მიგრაციული პროცესების მართვასა და რეგულირებაზე და „საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით“ გათვალისწინებული საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენებასა და სტრატეგიაში მითითებული მიგრაციის ფუნქციების განხორციელებაზე.

## 2. სტრატეგიის მიზანი და პრინციპები

### 2.1 მიგრაციის სტრატეგიის მიზანი:

მიგრაციის სტრატეგიის მიზანია, მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არალეგალურ მიგრაციასა და ტრეფიკინგთან ბრძოლას, მიგრანტთა უფლებებისა და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას და მიგრაციის დადებითი ეფექტის გამოყენებას ქვეყნის განვითარებისათვის. წინამდებარე სტრატეგიის მიზანია, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკა მიგრაციის სფეროში. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს არალეგალურ მიგრაციასთან და ტრეფიკინგთან ბრძოლას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას, მიგრაციის პროცესების მართვას საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას მიგრაციის სფეროში.

დოკუმენტით გათვალისწინებული ამოცანები ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების წარმართვას ქვეყნის განვითარებისთვის, მიგრანტთა უფლებებისა და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას. სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება მიგრანტთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გათვალისწინებით.

### 2.2. სტრატეგია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სახელმწიფოს წამყვანი როლი მიგრაციული პროცესების მართვაში;
- კანონის უზენაესობა;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა განსაკუთრებული აქცენტით არაიდულებითი დაბრუნების ვალდებულებაზე, რაც გამომდინარეობს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან;
- ნულოვანი ტოლერანტობა ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგისა და მიგრანტთა სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის მიმართ;
- თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე, მათ შორის ევროკავშირთან, ასევე საერთაშორისო ინსტრუმენტებისადმი მიერთებასთან დადებითი მიდგომა, რამაც შეუძლია ხელი შეუწყოს მიგრაციის



სახელმწიფო სისტემის მართვას;

· გამჭვირვალობა;

· დისკრიმინაციის დაუშვებლობა რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, რელიგიური, გენდერული, ეთნიკური, პოლიტიკური, სოციალური ან სხვა რაიმე ნიშნით;

· საერთაშორისო ხელშეკრულებების ჯეროვანი შესრულება;

· თანამშრომლობა საერთაშორისო რეგიონულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

· რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლა;

· საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელების ხელშეწყობა.

### **3. ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ჩარჩო, საერთაშორისო ინსტრუმენტები**

#### **3.1 სტრატეგიის დამტკიცებისას მიგრაციის მართვაში მონაწილე ძირითადი ინსტიტუტების აღწერა**

##### **საქართველოს პრეზიდენტი**

საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, გადაწყვეტილებას, საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მოპოვებისა და შეწყვეტის, ასევე, თავშესაფრის მინიჭების საკითხებზე იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

##### **საქართველოს მთავრობა**

საქართველოს მთავრობა ამტკიცებს საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესს, აგრეთვე, განსაზღვრავს უცხოელთა საქართველოში უვიზოდ შემოსვლის შემთხვევებს. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას, ასევე, განეკუთვნება საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის, უცხოელის საქართველოდან გაძევებისა და საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის წესების დამტკიცება.

##### **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო)**

სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, პასუხისმგებელია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირობებზე დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემაზე და ასევე, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების, ლტოლვილების ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სამგზავრო დოკუმენტებით უზრუნველყოფაზე. გარდა ამისა, სააგენტოს ფუნქციებში შედის საქართველოს მოქალაქეთათვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, ერთიანი სამოქალაქო რეესტრის წარმოება და შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციაზე წვდომის დონისა და საჭიროების შესაბამისად. ამავდროულად, სააგენტო ამზადებს დასკვნებს საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით.

##### **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება იძულებით გადაადგილებულ პირებს, ლტოლვილებს, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს, თავშესაფრის მაძიებლებს, რეპატრირებულ პირებს, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებსა და საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულებს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო განიხილავს განცხადებებს თავშესაფრის შესახებ, არეგისტრირებს თავშესაფრის მაძიებელ პირებს, ანიჭებს ლტოლვილის და ჰუმანიტარულ სტატუსებს, უზრუნველყოფს დროებითი საცხოვრებელით თავშესაფრის მაძიებლებს და ხელს უწყობს ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა ინტეგრაციის პროცესს, კოორდინაციას უწევს ლტოლვილთა და ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციას საზოგადოებაში.

##### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო**



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ჩართულნი არიან მიგრაციული პროცესების მართვაში. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო საზღვარზე უზრუნველყოფს ლეგალური გადაადგილების კონტროლს, ხელშეწყობასა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას. ისევე, როგორც პასუხისმგებელია არალეგალ მიგრანტთა გამოვლენაზე, დაკავებასა და მათი დროებითი განთავსების ცენტრში გადაყვანაზე. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაწყვეტილებას იღებს უცხოელთა საქართველოდან გაძევების თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე, უზრუნველყოფს დროებითი განთავსების ცენტრის გამართულ ფუნქციონირებას და აკონტროლებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებს, რაც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა სამგზავრო დოკუმენტების შემოწმებასა და ინსპექტირებას, კანონმდებლობით განსაზღვრულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზების გაცემასა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვას. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე, წარმოადგენს უფლებამოსილ ორგანოს რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურულ და ორგანიზაციულ საკითხებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია, აწარმოოს მიგრაციასთან დაკავშირებული სამართალდაცვითი საქმიანობა როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო საზღვარზე. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილება და აღმოფხვრა, კონტრაბანდის, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების დაკავება; ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების ბრუნვის აღკვეთა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

### **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, ახორციელებს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა საკონსულო აღრიცხვას, გასცემს საქართველოში დასაბრუნებელ მოწმობებს და საქართველოს ვიზებს, აქტიურად არის ჩართული რეადმისიისა და ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების ხელშეკრულებების განხორციელების პროცესში, ერთობლივი კომიტეტების შეხვედრებში მონაწილეობის მეშვეობით. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები ხელს უწყობენ ადგილსამყოფელ ქვეყნებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებას, როგორც საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნების, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მხარდამჭერი პროგრამების შესახებ. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცალკეულ მოქმედებებს და სააგენტოში გადაგზავნის მიზნით, იღებენ საქართველოს მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებულ განცხადებებს.

### **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებას, მათ შორის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის საკითხებს; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობისა და მასთან დაკავშირებულ მიგრაციის საკითხებს, ასევე, კოორდინაციას უწევს ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირისა და მის წევრ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს.

### **დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელს უწყობს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს სამშობლოსთან კავშირისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში, ხოლო მათი დაბრუნების შემთხვევაში, ამზადებს წინაპირობას აღნიშნული პირების საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისათვის. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და ერთიან ბაზაში განთავსებას;
- საზღვარგარეთ არსებული ქართული საგანმანათლებლო კერებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის გაცნობასა და გაზიარებას. ამავე დროს, მათი საქართველოს განათლების სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანას;



· საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებში ქართული კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას;

· საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და გაძლიერებას „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემოღებული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის საშუალებით;

· დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის წარდგენას ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და საინვესტიციო გარემოს შესახებ.

### **მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია**

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომლის კომპეტენციაში შედის მიგრაციის ეროვნული სტრატეგიის ფორმულირება, მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და წინადადებების შემუშავება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობისთვის მოამზადოს წინადადებები მიგრაციის მართვასთან და ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც - რეკომენდაციები საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ. ფუნქციების განხორციელებისას, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია, როგორც საქართველოში არსებული უწყებებიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვა ქვეყნის სტრუქტურებიდან და შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

### **3.2 ეროვნული კანონმდებლობა**

#### **ძირითადი კანონმდებლობის მიმოხილვა**

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით: „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება“, ასევე „შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან“.<sup>2</sup>

კონსტიტუცია ასევე მიუთითებს, რომ „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“.<sup>3</sup> ამასთან, „შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე, სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ“<sup>4</sup>. ამ დებულების მიზანია ტრეფიკინგის, მონობისა და ექსპლუატაციის პრევენცია.

#### **საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“**

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის ძირითად პრინციპებს, ადგენს საქართველოს მოქალაქეობის სამართლებრივ მდგომარეობას, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და შეწყვეტის საფუძველებს.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### **საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“**

ეს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძველებსა და მექანიზმებს, აგრეთვე, განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გამეგების ფორმებსა და პროცედურებს, გამეგების პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### **საქართველოს კანონი „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“**

ეს კანონი არეგულირებს ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების წესს და ადგენს ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის საკითხებთან დაკავშირებულ კომპეტენტურ ორგანოს.

#### **საქართველოს კანონი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“**

ეს კანონი ადგენს საქართველოს საზღვრის პოლიტიკას, განსაზღვრავს სახელმწიფოს სახმელეთო საზღვარს, შიდა და ტერიტორიულ წყლებს, საჰაერო სივრცეს, განსაკუთრებულ ტერიტორიულ ზონებსა და ტერიტორიულ შეღვს.



კანონი, ასევე არეგულირებს საზღვრის გადაკვეთის წესებს.

## საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვრცელდება ადამიანით ვაჭრობაზე (ტრეფიკინგი), მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანასა და საზღვრის უკანონო კვეთაზე.

## საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ სტატუსს და უზრუნველყოფს მათი დაცვის სამართლებრივ და სოციალურ გარანტიებს.

### 3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა

#### ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელსაც ხელი 1996 წელს მოეწერა და ძალაში 1999 წელს შევიდა. ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა პოლიტიკური დიალოგი, ვაჭრობა, ინვესტიციები, ეკონომიკა, კანონმდებლობა და კულტურა.

2003 წელს შემუშავდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირისა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას.

საქართველოზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა გავრცელდა 2004 წლიდან, ხოლო 2006 წლის 14 ნოემბერს ხელი მოეწერა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები, მათ შორის სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხები. საქართველო წარმატებით ახორციელებს ზემოხსენებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ რეფორმებს.

2007 წლის ნოემბერში შეიქმნა სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტი.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში გამართულ სამიტზე საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივას და ხელი მოეწერა შესაბამის ერთობლივ დეკლარაციას. „ადმოსავლეთ პარტნიორობა“ არის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და მისი ევროპელი მეზობელი პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა, რომლის მიზანია ევროკავშირისა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება და უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია, ენერგოუსაფრთხოების განმტკიცება და ხალხთა შორის კონტაქტების განვითარება.

ევროკავშირის „ადმოსავლეთ პარტნიორობა“ მოიცავს თანამშრომლობის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებს. თანამშრომლობის მრავალმხრივი ფორმატი მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების დამატებით შესაძლებლობებს იძლევა. საქართველო ახორციელებს „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ ორმხრივ და მრავალმხრივ საგზაო რუკებს, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად წარმოდგენილია რეფორმები მიგრაციასთან დაკავშირებულ სფეროებში.

2009 წლის ნოემბერში, ევროკავშირის 16 სახელმწიფომ და საქართველომ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ევროკავშირის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლასა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. შესაბამისად, იგი ითვალისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხები. „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად დასაქმებას, მათ შორის ე.წ. „ცირკულარული მიგრაციის“ საშუალებით.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის შესაძლებლობების გამოყენების მიზნით ორმხრივი ხელშეკრულებითი ურთიერთობების განვითარება. ცირკულარული მიგრაცია იძლევა ერთი მხრივ, ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინებისა და მეორე მხრივ, მათი ადგილზე არაეფექტიანად გამოყენების თავიდან არიდების შესაძლებლობას. ამასთან, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის 2011 წლის ინიციატივის - „გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილურობის შესახებ“ ფარგლებში (Global Approach to Migration and Mobility) შემდეგი მიმართულებებით:



ლეგალური მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და მობილურობის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია და შემცირება, მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გაძლიერება.

## **ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულება მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რა პროცედურების დაცვით უნდა მოხდეს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრები პირების სამშობლოში რეადმისია. ხელშეკრულება ეფუძნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში ასახულ პრინციპებს.

## **ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებები**

2011 წლის 1 მარტიდან ძალაშია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებები. სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმება საქართველოს მოქალაქეების გარკვეულ კატეგორიებს უმარტივებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვიზის მიღებას, ამცირებს ან აუქმებს ვიზის საფასურს, ასევე აწესებს უვიზო მიმოსვლას დიპლომატებისათვის. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაცია.

2012 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ დაიწყეს თანამშრომლობა ე.წ. „სავიზო დიალოგის“ ფარგლებში, რომლის საბოლოო მიზანია სავიზო პროცედურების ლიბერალიზაცია და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა. „სავიზო დიალოგის“ ფარგლებში საქართველო განახორციელებს ორ ეტაპიან სამოქმედო გეგმას, რომელიც ძირითადად მიმოსვლის უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს.

## **4. მიგრაციის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები**

### **4.1. ლეგალური მიგრაცია**

ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს, როგორც ლეგალური ემიგრაციის, ასევე იმიგრაციის შესაძლებლობების შემდგომ განვითარებას და ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას (მოსახლეობის ინფორმირება, როგორც ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების, ასევე არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ). აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის პრევენციას.

#### **4.1.1. საქართველოს მოქალაქეების დახმარება ლეგალური ემიგრაციის მიმართულებით**

ლეგალური ემიგრაციისათვის შესაბამისი მექანიზმების განვითარება, მნიშვნელოვანია როგორც გადაადგილების ლეგალური შესაძლებლობების შექმნის, ასევე არალეგალური ემიგრაციის პრევენციის თვალსაზრისით. ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფომ გადადგა ლეგალური ემიგრაციის ხელშეწყობი ქმედითი ნაბიჯები. დაინერგა და განვითარდა საზღვრის ინტეგრირებული მართვა, 2010 წლიდან საქართველომ დაიწყო უსაფრთხო, დაცული ბიომეტრული პასპორტების გაცემა, რამაც აამაღლა საზღვარგარეთ შესაბამისი სტრუქტურების ნდობა საქართველოს უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტების მიმართ. ლეგალური ემიგრაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობა მიმართავს ძალისხმევას სამი ძირითადი მიმართულებით: საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების განვითარება, საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირება ლეგალური ემიგრაციის შესაძლებლობების შესახებ.

#### **4.1.1.1 საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმება**

საქართველოს მთავრობის მიზანია განავითაროს სამართლებრივი ჩარჩო/მექანიზმები ლეგალური, დროებითი, შრომითი ემიგრაციის დადებითი ეფექტის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო არ გეგმავს უშუალოდ ჩაერიოს საზღვარგარეთ დასაქმების სურვილის მქონე პირთა შერჩევის პროცესში, ის ქმნის შესაბამის წესებსა და პირობებს, რითაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალედ, სამართლიანად და შეუფერხებლად მიმდინარეობას.

ლეგალური დასაქმების ხელშეწყობით, სახელმწიფო ქმნის ნიადაგს, რათა შრომითი მიგრანტების უფლებები და მათი სოციალური უსაფრთხოება სათანადოდ იყოს დაცული.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვანია კონკრეტულ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის ხელშეკრულებების გაფორმება და მათი ეფექტიანი განხორციელებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო და ორგანიზაციული ზომების გატარება. ასევე, დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების განვითარება.

მსგავსი ხელშეკრულებების ხელმოწერა და შესაძლებლობების გამორკვევა უზრუნველყოფს შრომით ბაზარზე



სამუშაო ძალის უნარების განვითარებასა და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებას.

საქართველოში დაბრუნებისას საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და გამოცდილებისგან სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს მთავრობა განავითარებს მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს დაბრუნებულთა ინტეგრაციას ადგილობრივ შრომით ბაზარზე შესაბამის დოკუმენტებში ასახული სახელმწიფო პრიორიტეტების თანახმად.

#### 4.1.1.2 საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა

ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების ცოდნის, გამოცდილებისა და კულტურული ღირებულებების გაზიარება. ამ მიზნით, სახელმწიფო პრიორიტეტულად მიიჩნევს საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ სწავლისა და გამოცდილების შეძენის ხელშეწყობას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და ერთობლივი პროგრამების შექმნის ხელშეწყობას. ასევე, ხელი შეეწყობა ისეთი სასტიპენდიო პროგრამების განვითარებას და გავრცობა/გაფართოვებას, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას მისცემს საზღვარგარეთ შეიძინონ ან გაიღრმავონ ცოდნა და გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამები განისაზღვრება ისე, რომ შეავსოს საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციისა და უნარების ნაკლოვანებები, რაც უზრუნველყოფს საზღვარგარეთ მსგავსი პროგრამების მონაწილეთა ეფექტიან დასაქმებას დაბრუნების შემდეგ.

#### 4.1.1.3 დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში

ლეგალური ემიგრაციის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან აღნიშნული დადებით გავლენას ახდენს ადამიანთა გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფაზე და წარმოადგენს თვითრეალიზაციისა და განვითარების ერთ-ერთ საშუალებას. შესაბამისად დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში არის ძალზე მნიშვნელოვანი. მათი ჩართულობის მხარდასაჭერად მოხდება რიგი ღონისძიებების გატარება შემდეგი მიმართულებებით: დიასპორის ინტელექტუალური რესურსის გამოყენება ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით, მათი მხრიდან ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო გარემოსა და ბიზნესის დაწყების საკითხებში ცნობიერების ამაღლებით, ფულადი გზავნილების ეფექტიანად გამოყენებისთვის საინფორმაციო კამპანიის წარმოებით.

#### 4.1.1.4 მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება

მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება მნიშვნელოვანია, როგორც ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ასევე არალეგალური ემიგრაციის პრევენციისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მთავრობა უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას ლეგალური ემიგრაციის შესაძლებლობების, მოქმედი ზოგადი წესებისა და პროცედურების, ასევე არალეგალური ემიგრაციის შესაძლო საფრთხეების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფილი იქნება, როგორც ცალკეული პროექტებით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებით გათვალისწინებული საინფორმაციო კამპანიების კოორდინირების გზით.

#### 4.1.2 ლეგალური იმიგრაციის ხელშეწყობა

იმიგრაციული ნაკადების მოწესრიგებისთვის დღის წესრიგში დადგა აქამდე არსებული სავიზო პოლიტიკისა და უცხოელთა საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლების გადახედვის საჭიროება. ამ მიზნით, ლეგალური იმიგრაციის ხელშეწყობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გადაიდგა და იგეგმება რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### 4.1.2.1 მიგრაციის მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა

მიგრაციის პროცესების მართვისა და გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვება მიგრანტთა სტატუსის შესახებ. ამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში არსებული მონაცემების შეგროვებას. სისტემა შესაძლებელს გახდის, სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე, მოხდეს მიგრაციის ტენდენციების დადგენა, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

#### 4.1.2.2 კანონმდებლობის გადახედვა და ცვლილებები

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 მარტს მიღებული იქნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავებული „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“





საქართველოს ახალი კანონი. კანონის შემუშავება განაპირობა არსებული სავიზო პოლიტიკის გადახედვისა და ქვეყანაში იმიგრაციული პროცესების უკეთესი რეგულირების აუცილებლობამ. ამასთან, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 30 აპრილს მიიღო მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავებული „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ახალი ორგანული კანონი, რომლის მიღებაც განაპირობა არსებულმა გამოწვევებმა და პრაქტიკულმა საჭიროებებმა, საქართველოს მოქალაქეობის საკითხების ახლებური რეგლამენტაციის აუცილებლობამ და „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წლის კონვენციასთან საქართველოს მიერთების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### **4.1.2.3 იმიგრანტთათვის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება**

უცხოელთათვის მომსახურების გაუმჯობესება და საინფორმაციო თუ სხვა სახის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური წინსვლისთვის. აქედან გამომდინარე, დამატებითი ძალისხმევა იქნება მიმართული ლეგალური იმიგრაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისკენ, მათ შორის, საჯარო მომსახურების გაუმჯობესებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

#### **4.2 არალეგალური მიგრაცია**

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა წარმოადგენს საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს.

აღნიშნული მიმართულებით უკვე მიმდინარეობს არალეგალური იმიგრაციის შესახებ ძირითადი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების გადახედვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქართველოდან გაძევების ქმედითი მექანიზმების დანერგვა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განისაზღვრა პასუხისმგებელ უწყებად არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, მათ შორის, არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის შექმნასა და ფუნქციონირებაზე, ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტების გამოვლენასა და მათ მიმართ შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე.

სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება არალეგალური მიგრაციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### **4.2.1 არალეგალური ემიგრაცია**

არალეგალურ ემიგრაციასთან ბრძოლის, მისი აღკვეთისა და პრევენციის მიზნით მთავრობა განახორციელებს ღონისძიებებს შემდეგი მიმართულებებით:

##### **4.2.1.1 ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგისა და მიგრანტთა სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება**

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ძალისხმევას ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებისა და საზღვრის ინტეგრირებული მართვის მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით. ღონისძიებები გატარდება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით, შეიქმნება და განვითარდება არალეგალური ემიგრაციის გამოვლენის მექანიზმები და პრიორიტეტი მიენიჭება ტრეფიკინგის დანაშაულის გამოვლენისადმი პროაქტიულ მიდგომას.

##### **4.2.1.2 მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება**

არალეგალური ემიგრაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანთა ნაკლები ინფორმირებულობა იმ საფრთხეების შესახებ, რაც შესაძლოა თან ახლდეს აღნიშნულ პროცესს. შესაბამისად, არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისთვის, მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიის წარმოება, როგორც არალეგალური ემიგრაციის საფრთხეების შესახებ, ასევე ლეგალური შესაძლებლობების გაცნობის მიზნით. შედეგად, ადამიანებს მიეცემათ საშუალება მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, გააცნობიერონ არსებული ლეგალური ალტერნატივები, რაც თავისთავად ატარებს პრევენციულ ხასიათს.

#### **4.2.2. უცხოელთა არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაუმჯობესება**

მიგრაციის მართვა და ბრძოლა არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. არალეგალური იმიგრაცია ხშირად საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს და ისეთი დანაშაულის საფუძველი ხდება, როგორცაა ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, მიგრანტთა სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანა და სხვა. საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს რა აღნიშნულ სფეროში არსებულ



საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ქვეყნის სწრაფვას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ (სადაც მიგრაციის მართვა და არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია) მიიჩნევს, რომ აუცილებელია შემდეგი საკითხების ინიცირება და განხორციელება:

#### 4.2.2.1. (ამოღებულია - 05.09.2014, №540)

#### 4.2.2.2. ინსტიტუციური განვითარება

არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის სფეროში მეტად მნიშვნელოვანია ინსტიტუციური მექანიზმების შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიან თანამშრომლობას. ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ არალეგალ მიგრანტთა გამოვლენისა და დაბრუნების (განსაკუთრებული აქცენტით, ნებაყოფლობით დაბრუნებაზე) ხელშესაწყობად, აღნიშნული განხორციელება სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მოქნილი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გზით.

ამ კუთხით, ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მიგრაციის მონაცემთა ერთიანი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის როგორც ლეგალური, ასევე, არალეგალური მიგრაციის მონიტორინგს.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### 4.2.2.3. უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება

არალეგალური იმიგრაციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობას გააძლიერებს ისეთი ქმედებები, როგორც არის არსებული უწყებათაშორისი თანამშრომლობის პროცედურების გაუმჯობესება, ან ახალი პროცედურების შექმნა, სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის დამყარება, რეადმისიის შეთანხმებების დადება და მათი განხორციელება.

#### 4.2.2.4. პრევენციული ღონისძიებების გატარება

როგორც საერთო პრევენციის ნაწილი, არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ კუთხით საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, მოხდება ინფორმაციის გავრცელება საქართველოში ლეგალურად შემოსვლის, ყოფნისა და საქმიანობის შესახებ. პრევენციული საქმიანობის დაგეგმვისა და გატარების კუთხით, ასევე, აუცილებელია რისკის ქვეყნების გამოვლენა, საიდანაც ხდება არალეგალი მიგრანტების შემოდინება.

### 4.3 თავშესაფრის სისტემის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის პროცესის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა გამოხატავს მზადყოფნას ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაერო-ს 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის შესაბამისად, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვა და მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

#### 4.3.1. თავშესაფრის სისტემის სფეროში სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს განვითარება

სახელმწიფო გეგმავს თავშესაფრის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფას საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და ასევე, ეფექტიანი ინსტიტუციონალური ინსტრუმენტის შექმნას ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ. ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხდება პროცედურების და სტანდარტების გადახედვა თავშესაფრის ეროვნული სისტემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულ სფეროში, მთავრობა ითანამშრომლებს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უზრუნველყოფს უწყებათაშორის კოორდინაციას.

#### 4.3.2. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისთვის ქმედითი სისტემის განვითარება

თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია წარმოშობის ქვეყნის გაანალიზება. ამის უზრუნველსაყოფად, კომპეტენტური უწყების ფარგლებში განვითარდება სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე, დამუშავებაზე, ანალიზსა და მუდმივ განახლებაზე.

#### 4.3.3 ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის მექანიზმის შემდგომი განვითარება



საქართველოს მთავრობა გააგრძელებს საჭირო ღონისძიებების გატარებას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. ამ მიმართულებით განხორციელდება ღონისძიებები დასაქმების, განათლების, ჯანდაცვისა და მიმღები ცენტრის დატოვების შემდგომ მხარდაჭერის კუთხით.

#### 4.3.3.1 დასაქმება, განათლება და ჯანდაცვა

ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის ბაზარის, საგანმანათლებლო პროცესისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამ პროცესს, თავის მხრივ, ხელს უწყობს არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა.

ამ კატეგორიის პირთა შრომის ბაზარზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ხელშესაწყობად, საქართველოს კომპეტენტური უწყება გაატარებს ისეთ ღონისძიებებს, როგორც არის პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება, ქართული ენისა და კულტურის შესწავლის წახალისება და ინფორმაციის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის შესახებ. ამასთანავე, დაინერგება საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის აღიარების მექანიზმები.

#### 4.3.3.2. მხარდაჭერა მიმღები ცენტრის დატოვების შემდეგ

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის პროცესი გაგრძელდება მიმღები ცენტრის დატოვების შემდეგაც კომპეტენტური უწყების ხელშეწყობით. საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ მხარდაჭერაში მოიაზრება განთავსების შესაძლებლობების შეთავაზება, საქართველოს კანონმდებლობით ამ კატეგორიისათვის განკუთვნილი შემწეობით უზრუნველყოფა და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შემოსავლის გენერირების პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა.

საქართველოს მთავრობა, ასევე ეტაპობრივად განავითარებს მექანიზმებს, რათა ხელი შეეწყოს ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპზე დაფუძნებით, წარმოშობის ქვეყნებში იმ უცხოელთა დაბრუნებას, რომელთაც უარი ეთქვათ თავშესაფრის განაცხადზე, ან სხვა მიგრანტებს, ვისაც სურვილი აქვთ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

### 4.4. საქართველოს მოქალაქეთა ღირსეული დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

#### 4.4.1. საქართველოს მოქალაქეების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების დებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფა

საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვა მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა. არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში, საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, სხვა ქვეყნებში უკანონოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია დანიშნულების ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მიზანია სხვა სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმებების დადება და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან რეადმისიის საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება. შესაბამისი უწყებები განავითარებენ რეადმისიის შეთანხმებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, გააუმჯობესებენ იდენტიფიკაციის პროცესს და შექმნიან რეადმისიის ფარგლებში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების მონაცემთა ბაზას.

#### 4.4.2 საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაცია

საქართველოს მთავრობა გამოხატავს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა ღირსეულ რეინტეგრაციას. დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ამ პროცესში ჩართული უწყებების შესაძლებლობების გაზრდასა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, ისევე როგორც, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას. გაგრძელდება ღონისძიებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რათა საქართველოს მოქალაქეებს მიეწოდოს ინფორმაცია სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ.

#### 4.4.2.1 სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებისა და რეინტეგრაციის პროცესში ჩართულ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კოორდინირებისა და შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა

ერთობლივი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება.

მთავრობა ხელს შეუწყობს იმ უწყებების ინსტიტუციონალურ შესაძლებლობათა ზრდას, რომლებიც მონაწილეობენ



რეინტეგრაციის სამუშაო ჯგუფში. გატარდება ღონისძიებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოთა რეინტეგრაციის პროცესში ჩართვის მიზნით.

რეინტეგრაციის სამუშაო ჯგუფის კოორდინაციით, გაძლიერდება თანამშრომლობა ყველა იმ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ დაბრუნებულთა რეინტეგრაციის საკითხებზე. აღნიშნული გამოიციხავს პროექტების დუბლირებასა და ამავე დროს, ხელს შეუწყობს გამოყოფილი ფინანსური რესურსებიდან ბენეფიციართათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

#### 4.4.2.2 რეინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობის ზრდა

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, ასევე, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და შემდგომი სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ. საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების საქართველოში დასაბრუნებლად შესაბამისი პირობების შექმნას.

საქართველოს კომპეტენტური ორგანოები ნაყოფიერად თანამშრომლობენ უცხო ქვეყნის იმ შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან რეადმისიის, გაძევებისა და ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცედურების განხორციელებაში.

საქართველოს კომპეტენტური ორგანოები ითანამშრომლებენ დანიშნულების ქვეყნების იმ უწყებებთან, რომლებიც ჩართულნი არიან რეადმისიის, გაძევებისა თუ ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცედურების განხორციელებაში. აღნიშნული უზრუნველყოფს სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა ინფორმირებას.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის დადგენილება №540 – ვებგვერდი, 09.09.2014წ.*

#### 4.4.2.3 საზღვარგარეთ მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევებისა და განათლების აღიარება

საქართველოს დაბრუნებულ მოქალაქეთა წარმატებული რეინტეგრაციისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება და აღიარება. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ შეიქმნება კონკრეტული მექანიზმები.

### 5. განხორციელების მექანიზმი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული მიგრაციის სტრატეგიის დოკუმენტი დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას შეიმუშაოს კონკრეტული პროგრამები და ხელი შეუწყოს მათ წარმატებულ განხორციელებას სახელმწიფო უწყებების, პარტნიორი ქვეყნების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობის გზით. მიგრაციის სტრატეგიის დოკუმენტში დასახული მიზნების შესრულება მოხდება შემდეგი საშუალებებით:

- თანადაფინანსების უზრუნველყოფით სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი ფონდებიდან;
- ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიის განხორციელების პროცესს. კომისია უფლებამოსილია განიხილოს და დაამტკიცოს მიგრაციის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმა. კომისია ასევე უფლებამოსილია განიხილოს და დაამტკიცოს წლიური ანგარიში სტრატეგიის განხორციელების შესახებ.

მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებას მოახდენს სტრატეგიის სამუშაო ჯგუფი. მიგრაციის სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ ანგარიშს, კომპეტენტური უწყებების კოორდინაციის საფუძველზე, შეიმუშავებს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო.



<sup>1</sup> აშშ - ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიში ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის შესახებ.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია თავი II, მუხლი 22 (მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს).

<sup>3</sup> იქვე მუხლი 47.

<sup>4</sup> იქვე მუხლი 30.

